ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3900556

ნომერი: AR1571109

თარიღი : 18.01.2018

გაცემის თარიღი : 05.04.2018

გაცნობის თარიღი : 05.04.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისის ზღვაზე , დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული, (ნაკვ.1/59) ;
ქალაქი თბილისი , თბილისის ზღვაზე , დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებული ნახევარკუნძული, (ნაკვ.1/59) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ხოსროვ ქუჩე-ბიდი პ/ნ 01291003609
- ქ. თბილისი ბურძგლას ქ. 74-74ა-74ბ

ნომენკლატურა :

- დამხმარე - ტექნიკური შენობები
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2451004 (2785019 18.08.2016)
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 24.02.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: დაცვის შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი კვიწინაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ხოსროვ ქუჩე-ბიდი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01291003609

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 13612.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 34.2
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 53.3
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 36.7
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 5.8
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 10.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 412.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 412.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 6.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 34.2 კ1=0.1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 64.5 კ2= 0.1
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 13577.6 კ3=0.9

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბლისი, თბილისის ზღვაზე, დიდ ყურესა და ზღვას შორის არსებულ ნახევარკუნძულზე, მიწის ნაკვეთზე დაცვის შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას, პასუხად გაცნობებთ:

მიწის ნაკვეთი (ს/კ #01.12.21.001.220; #01.12.21.001.221), რომელიც წარმოადგენს თქვენი ინტერესის საგანს, მდებარეობს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე - თბილისის ზღვის სიახლოვეს. ვინაიდან ამ ეტაპზე შესაბამისი კვლევითი სამუშოებით მიმდინარეობს თბილისის ზღვის წყალდაცვითი ზოლის საზღვრების დადგენა, რომელიც არეგულირებს საქმიანობის რეჟიმს და ამ ზოლში წყლის დაბინძურების, დანაგვიანების, მოვლისა და დაშრეტისგან დასაცავად შესაბამისი შეზღუდვების არეალს და განსაზღვრავს აღნიშნულ არეალში მშენებლობების სახეობებსა და სამშენებლოდ განვითარების შესაძლებლობას; წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში მიწის გამოყენებას კი აკონტროლებენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და სხვა ამისთვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის ზღვის წყალდაცვითი ზოლის დადგენამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გასცეს რაიმე სახის მშენებლობის ნებართვა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.